

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 24

25 აპრილი 2007 წელი

ქ. ბათუმი

ქობულეთის №81/3 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის
უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 83¹ მუხლის 1-ლი პუნქტის და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვბრძანებ:

1. შეუწყდეს უფლებამოსილება ქობულეთის №81/3 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს რუსუდან დვალიძეს.
2. ეკონომიკურმა სამსახურმა (ლ. სამნიძე) უზრუნველყოს საბოლოო ანგარიშსწორება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.
4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

ა. მიქელაძე